

განმარტებითი ბარათი

„სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზი გამომდინარეობს ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებიდან, კერძოდ, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას, წამლის სააგენტოს ნაცვლად, განახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი, კომპეტენტური სამსახური.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

პროექტის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი, კომპეტენტური სამსახურის მიერ „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტიდან გამომდინარე, რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა პროცედურების სრულყოფილი განხორციელებისათვის განსაზღვროს მოსაკრებელი.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტით ამოღებულია მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, რომელებიც ეხებოდა ვეტერინარული დანიშნულების პრეპარატების რეგისტრაციას/ხელახალ რეგისტრაციას და აღნიშნული მოსაკრებლები დაემატა მე-7 მუხლის მე-5 პუნქტს „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მიღება:

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეხება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტი შესათანხმებლად დაგზავნილ იქნა სამინისტროებში.

დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.